



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 117

„ 17 „ თებერვალი 2014წ.

# გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

### ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მ. გორგოძისათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2014 წლის თებერვლის თვეში, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლე მკა გორგოძეს თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროს თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან არსებულმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატის გაცემა.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი